

ელექტრონული საბანკო საქმიანობის აუზილავლობა და თავისებურებანი თანამედროვე ეტაპზე

ვაჟა სარალიძე, სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

თანამედროვე ბანკების კორპორატიული საინფორმაციო სისტემები (კსს) არის რთული პროგრამული კომპლექსი, რომელიც შეერთებულია განშტოებების მქონე ტელესაკომუნიკაციო ინფრასტრუქტურასთან. მათი არქიტექტურა, პროგრამული ლოგიკა და განლაგება ექვემდებარება საკრედიტო ორგანიზაციის სტრატეგიას, მიზნებსა და ამოცანებს. ელექტრონული კომერციისათვის ინოვაციური სიახლეების შექმნა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით აუმაღლებს ბაზარზე ბანკის პოზიციას. განვითარებადი ბაზრის პირობებში ბიზნესის წარმატება დამოკიდებულია ბანკების უნარზე, ეფექტურად დააგროვონ, შეინახონ და მართონ ინფორმაციის მზარდი მოცულობა. ამისათვის ისინი ვალდებული არიან, აიჩიონ საუკეთესო ბიზნეს-პრაქტიკების მართვის პოლიტიკა.

ელექტრონული კომერციის ეკონომიკურ წინაპირობას წარმოადგენს კომერციულ ციკლებში დანახარჯების შემცირების ობიექტური აუცილებლობა და მათი მიახლოება საწარმოო ციკლების ავტომატიზაციით მიღწეულ ნორმებთან.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული საბანკო საქმიანობა, ელექტრონული კომერცია, საინფორმაციო ეკონომიკა, ინტერნეტი, ქსელური ტექნოლოგია

Necessity and Features of Electronic Banking Activity at the Modern Stage

Vazha Saralidze, Doctoral Student GTU

Summary

Modern banks' corporate informational system(s) (CIS) is difficult software complex which is connected to the telecommunication infrastructure and its branches. Its architecture, software logic and disposal is subjected to the strategy, goals and objectives of the organization. Creating innovations for electronic commerce using informational technologies improves bank's position on the market. Business success in the developing market conditions depends on the bank's abilities - to accumulate, save and effectively manage growing volume of information. Therefore, they are responsible to choose the best business-practice management policy.

The economic precondition of electronic commerce is

objective necessity of cost reducing through the commercial cycles and also approaching these costs to the norms which are achieved through the automation of production cycles.

Keywords: e-banking, e-commerce, information economy, Internet, Networking Technology

* * * * *

თანამედროვე ბანკების კორპორატიული საინფორმაციო სისტემები (კსს) არის რთული პროგრამული კომპლექსი, რომელიც შეერთებულია განშტოებების მქონე ტელესაკომუნიკაციო ინფრასტრუქტურასთან. მათი არქიტექტურა, პროგრამული ლოგიკა და განლაგება ექვემდებარება საკრედიტო ორგანიზაციის სტრატეგიას, მიზნებსა და ამოცანებს. ანალიტიკური მოდულების საშუალებით შესაძლებელია საბანკო ოპერაციების სხვადასხვა ასპექტის დიდი სიზუსტით გამოკვლევა და პროგნოზირება, ფარული ტენდენციების გამოვლენა და ყველაზე მეტად ეფექტურად მოქმედება დინამიურად ცვლად ეკონომიკური სიტუაციაში. ასე, მაგალითად, 2007-2008 წლების ამერიკის საბანკო ინდუსტრიის იპოთეკურ სექტორში მოახლოებული კრიზისი თავიდან დაფიქსირდა ბანკების იპოთეკური ქვედანაყოფების საინფორმაციო სისტემებში და მხოლოდ შემდეგ იქნა გამოვლენილი ტრადიციული ანალიტიკური მეთოდებით. 2003-2004 წლებში კომპანიების Parmalat-ის და Enron-ის კსს ასევე ინახავდნენ ანალიზისათვის საჭირო მთელ უარყოფით ინფორმაციას, მაგრამ არც კორპორაციების ხელმძღვანელობამ და არც საერთაშორისო აუდიტორებმა არ მოინდომეს საინფორმაციო მოდულებიდან მოსული სიგნალების სწორად გაგება.

ელექტრონული კომერციის „ახალი სამყარო“ მკვეთრად ცვლის ფინანსური ორგანიზაციების ბუნებასა და მახასიათებლებს. ფინანსური ინსტიტუტები წარმოადგენენ სამი ურთიერთდაკავშირებული ელემენტის ერთობლიობას. ესენია: კორპორატიული კულტურა, ცოდნა და ინოვაციები. ფინანსურ ორგანიზაციებში ერთმანეთს ეჯახება ელექტრონული კომერციის ტექნოლოგიების გამოყენება და ორგანიზაციაში უკვე არსებული ძველი ინფრასტრუქტურა, რის გამოც ახალი ტექნოლოგიების ეფექტურობა მცირდება. ძირითადი პრობლემა, რომელსაც ბანკები აწყდებიან, არის მათი მიმდინარე ბიზნეს-პროცესების ხელახალი დაპროექტების ან რეორგანიზაციის

აუცილებლობის პრობლემა და ინტერნეტისა და სხვა ახალი ტექნოლოგიების გამოყენების გაზრდა.

ნებისმიერი ბიზნეს-ორგანიზაციის ამოცანა არის სტრატეგიული კონკურენტუნარიანობის მიღწევა და წინასწარი განჭვრეტა იმისა, თუ როგორ ცვლიან საინფორმაციო ტექნოლოგიები ბიზნესის წარმართვის მეთოდებს და კონკურენტის თავისებურებებს. თანამედროვე ეკონომიკაზე საინფორმაციო ტექნოლოგიების ზემოქმედება გამოიხატება – დანახარჯების შემცირების შესაძლებლობასა და განხორციელებული ოპერაციების სიჩქარის გაზრდაში, ეკონომიკურ გარემოში მიმდინარე მუდმივი ცვლილებების მიმართ ბიზნესის ადაპტაციის პროცესების გამარტივებასთან ერთად.

საინფორმაციო ეკონომიკა წარმოადგენს რთულად ორგანიზებულ მრავალდონიან გლობალურ სტრუქტურას, რომელშიც საინფორმაციო-ტელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის საშუალებით ხორციელდება ეკონომიკური პროცესის მონაწილეების ურთიერთდაკავშირებული საქმიანობა. საინფორმაციო ეკონომიკის მნიშვნელოვანი მიღწევაა ელექტრონული კომერციის განვითარება. საინფორმაციო ეკონომიკაში შეიცვალა პროცესების მართვის სტრუქტურა. საინფორმაციო ეკონომიკაში ფუნქციონირებადი თანამედროვე ბიზნეს-მოდელის გასაგებად სასარგებლო იქნება ამერიკელი ფინანსური ანალიტიკოსების ა. ანგერნის და პ. ფინგერის ძირითადი კონცეფციების განხილვა.

ალბერტ ანგერნის ბიზნეს-მოდელი ICDT დაფუძნებულია ოთხ ვირტუალურ სივრცეზე: ვირტუალური საინფორმაციო სივრცე, გავრცელების ვირტუალური სივრცე, ოპერაციის ვირტუალური სივრცე და ვირტუალური საკომუნიკაციო სივრცე, სადაც ფირმა წარმოადგენს ინფორმაციას თავისი ორგანიზაციის, პროდუქციის და მომსახურებების შესახებ. ისინი გამოიყენება მყიდველის მიერ მოთხოვნილი ან ნაყიდი პროდუქციის ან მომსახურების მისაღებად, ეკონომიკური გარიგებების ხელშეწყობისა და შესრულებისათვის, და ურთიერთობების დასამყარებლად და იდეების განხილვისა და გაცვლისათვის ისეთ დონეზე, როგორიცაა ფორუმები, ჩატები და ვირტუალური საზოგადოება. ელექტრონული კომერციის შესახებ ლაპარაკია მხოლოდ მაშინ, თუ ასეთი საზოგადოება წარმოადგენს მომსახურებას, რომლისთვისაც მისი წევრები ფულს იხდიან.

პიტერ ფინგერის მიერ შემუშავებული ელექტრონული კომერციის მოდელი ემყარება ტრადიციულ საბაზრო სივრცეებს და ელექტრონულ მექანიზმებს. მოდელის საფუძველია არსებული საბაზრო სივრცე სამი ელექტრონული სვეტით, რომლებსაც უკავიათ ღია საბაზრო პროცესები. ეს სვეტებია – ელექტრონული ინფორმაცია, ელექტრონული ურთიერთობები და ელექტრონული ოპერაციები. ელექტრონული ინფორმაცია არის ანგერნის ვირტუალური საინფორმაციო სივრცის ანალოგიური, სადაც ინტერნეტი განიხილება, როგორც დოკუმენტების და მულტიმედიაური მონაცემების „გლობალ-

ური საცავი“, მაშინ, როცა ელექტრონული ურთიერთობები, ცენტრალური სვეტი, არის იგივე, რაც ანგერნის ვირტუალური საკომუნიკაციო სივრცე. მაგრამ ვებ-საიტზე ინფორმაციის და მომსახურების შესახებ წინადადებების განთავსება არ ნიშნავს იმას, რომ სტუმრები ამ საიტს პირველად მოინახულებენ, და არც იმას, რომ მომხმარებელი ამ საიტზე ისევ დაბრუნდება. ელექტრონული ურთიერთობების სვეტი დაკავშირებულია ვებ-დიზაინთან, რომელმაც შეიძლება შეასრულოს საზოგადოებაში „შესასვლელი კარის“ როლი. მაშინვე, როგორც კი შემსვლელები რეგულარულად გაივლიან ამ შესასვლელ კარებს, ეს გახდება ელექტრონულ კომერციაში წარმატებული ჩაბმის გასაღები. მესამე სვეტი, ელექტრონული ოპერაციები არის ანგერნის ვირტუალური საოპერაციო სივრცის მსგავსი; ის ასევე თავის თავში მოიცავს ანგერნის განაწილების ვირტუალური სივრცეს. ბევრმა ეკონომიკურმა სისტემამ ააგო ელექტრონული ინფორმაციის სვეტი, ხოლო ელექტრონული ოპერაციების სვეტი ააგეს ბევრად ნაკლებმა სისტემებმა. კოლონის აგებას შეიძლება ხელი შეუშალოს ოპერაციების ლოჯისტიკის ოპტიმიზირებული უნარის არქონამ.

ზემოთ აღნიშნული ორი მოდელი გვიჩვენებს, რომ ელექტრონული კომერციის წარმატება დამოკიდებულია ძირითად სისტემებში ბიზნესების და მყიდველების მოძებნის უზრუნველყოფაზე. უსაფრთხოება, როგორც წესი, არის ყველაზე მთავარი წინააღმდეგობა ელექტრონული კომერციის ზრდისათვის. ელექტრონულ კომერციასთან დაკავშირებული ბიზნესი ასევე აწყდება სხვა მთავარ იურიდიულ და/ან მარეგულირებელ შეზღუდვებს, როგორიც არის დაბეგვრა, კონფიდენციალურობა და კოდირება; ამიტომ მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიყვანონ მოქმედებაში ცალკეული ინტერნეტ-სტრატეგია ამ შეზღუდვების გათვალისწინებით. საინფორმაციო ტექნოლოგიები ბანკებში და ბიზნესის ქსელური მოდელები არიან პირველადი ინფორმაციის და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის წარმოებულები.

ინფორმაციასთან წვდომა და კომუნიკაციების გაუმჯობესებული სისტემა ნათელს ხდის თანამშრომლობის ახალ კონკურენტულ აუცილებლობას. როდესაც ბანკები თანამშრომლებს და კლიენტებს ინტერნეტის საშუალებით აძლევენ ინფორმაციასთან და სისტემებთან პირდაპირი წვდომის საშუალებას, ბანკებს შეუძლიათ მომსახურების შესრულების დროის და ასევე მათი ღირებულების შემცირება. რადგან ფინანსურ ინსტიტუტებში ფინანსური ტრანზაქციების განხორციელების დროს საინფორმაციო ტექნოლოგიები ასრულებენ აგენტის როლს, ამიტომ ფინანსურ ინსტიტუტებს უფრო ნაკლებ დროში შეუძლიათ მეტი ოპერაციების შესრულება თანამშრომლების ნაკლები რაოდენობით და უფრო მეტი ინფორმაციის შეგროვება, გაანალიზება და გავრცელება უკეთესი გადაწყვეტილებების მისაღებად.

ელექტრონული კომერციისათვის ინოვაციური

სიახლეების შექმნა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით აუმჯობესებს ბაზარზე ბანკის პოზიციას.

განვითარებადი ბაზრის პირობებში ბიზნესის წარმატება დამოკიდებულია ბანკების უნარზე, ეფექტურად დააგროვონ, შეინახონ და მართონ ინფორმაციის მზარდი მოცულობა. ამისათვის ისინი ვალდებული არიან, აირჩიონ საუკეთესო ბიზნეს-პრაქტიკების მართვის პოლიტიკა.

ახალი ტექნოლოგიები ბანკებს საშუალებას აძლევს, რომ კლიენტებს შესთავაზონ პერსონიზირებული მომსახურების მაღალი დონე, თითოეულ ოპერაციაზე მუდმივი დანახარჯების გაზრდის გარეშე. ელექტრონული არხის რეალური ფასეულობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ბანკებს საშუალებას აძლევს, კლიენტებს შესთავაზოს ისეთი უპირატესობები, როგორიცაა მოხერხებულობა, პერსონიზირებული მომსახურება და ინტერაქტიულობა.

ინტერნეტი და ქსელური ტექნოლოგიები ხელს უწყობენ ბიზნესის რადიკალურად ახალი, ინოვაციური ხერხით წარმართვას. ელექტრონული კომერციის სტრატეგიის ფორმულირების დროს ბანკებმა და არასაბანკო ფინანსურმა ორგანიზაციებმა აუცილებლად უნდა განსაზღვრონ თავიანთი საერთო ეკონომიკური სტრატეგია, და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადანეციონ, თუ როგორ დაეხმარება მათ ქსელური ტექნოლოგიები და ინტერნეტი სტრატეგიული ეკონომიკური ამოცანების გადაჭრაში. თანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგიები შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც ეკონომიკური სტრატეგიის რეალიზაციის ინსტრუმენტი, მაგრამ ბანკებისა და ორგანიზაციების მმართველებმა, რომლებიც საბანკო ბიზნესს არეგულირებენ, უნდა განსაზღვრონ, თუ რა პერსპექტივები ისახება და რა საშიშროება იმალება ბიზნესისა და კლიენტებისათვის.

საბანკო ბიზნესის წარმატებული სტრატეგიები მოითხოვენ საკრედიტო ორგანიზაციის ინფორმაციასა და ინტელექტუალურ რესურსებთან წვდომას რეალურ დროში. საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება ბანკებს საშუალებას აძლევს მიიღოს ინფორმაცია ინდუსტრიის და მისი კონკურენტების შესახებ, განსაზღვროს სფეროები, რომლებშიც კონკურენტები განსაკუთრებით სუსტები არიან, შეაფასოს გავლენა, რომელიც ექნება კონკურენტებზე სტრატეგიულ მოქმედებას და განსაზღვროს კონკურენტის პოტენციური ნაბიჯები, რომლებიც საშიშროებას წარმოადგენენ ფირმის პოზიციებისათვის კონკურენტულ ბაზარზე. წარმატებული, მართებულიად აგებული პროგრამა მოითხოვს მოქნილობას, სარგებლიანობას, თავისდროულობას და ფუნქციონალურ თანამშრომლობას.

საინფორმაციო ტექნოლოგიები ბანკისათვის, უპირველ ყოვლისა, წარმოადგენს ბიზნეს-პროცესების ეფექტიანობის ამაღლების გამოყენებით ინსტრუმენტს და არავითარ შემთხვევაში – თვითმიზანს. ბიზნესის წარმართვაზე რეორგანიზაციული შეხედულება უნდა იყოს ზუსტად განსაზღვრული და საინ-

ფორმაციო არქიტექტურაში გადაყვანილი; ბანკებმა უნდა განსაზღვრონ და განავითარონ შემოქმედებითი მიდგომები არსებული პროცესების პროექტირების მიმართ. ინოვაციური პროცესების შექმნის და ბიზნესის წარმართვის ახალ წესზე გადასასვლელად საინფორმაციო არქიტექტურა და ტექნოლოგიური შესაძლებლობები სისტემატურად და მუდმივად უნდა იმყოფებოდნენ ევოლუციის პროცესში. გლობალურ საინფორმაციო არქიტექტურაზე და სტრატეგიაზე შეხედულებების ინოვაციური სისტემის განვითარება არის წინასწარი პირობა ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაციისათვის.

ფინანსურ და სტ-დეპარტამენტებს შორის ეფექტურად აწყობილი ურთიერთქმედების შედეგი უნდა გახდეს ბიზნეს-პროცესების ოპტიმალური რეინჟინირინგი. ასეთი გარდქმნის მიზანია საბანკო საქმიანობის პროდუქტიულობის ამაღლება, მოგების ოპერაციული მაჩვენებლების გაზრდა და ბოლოს, ორგანიზაციის შიგნით კომპლექსური ფინანსური ანალიზის და ანგარიშგების რეალიზაცია, რაც ეფუძნება ფინანსურ ინსტიტუტებში ცოდნის მართვის პრინციპულად ახალი მეთოდებს.

ამრიგად, ელექტრონული კომერციის ეკონომიკურ წინაპირობას წარმოადგენს კომერციულ ციკლებში დანახარჯების შემცირების ობიექტური აუცილებლობა და მათი მიახლოება საწარმოო ციკლების ავტომატიზაციით მიღწეულ ნორმებთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველო ეროვნული ბანკი, საგადახდო მომსახურების პროვაიდერები <http://www.nbg.gov.ge/index.php?m=601&lng=geo>
2. Tsai H-L. Information Technology and Business Process Reengineering: New Perspectives and Strategies. Praeger Publishers (March 30, 2003).